საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

09/03/2026

MES 3 26 0000287021

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტების და აკრედიტაციის დებულების 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 4 წელი.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 27 ოქტომბრის №1409731 ბრძანების (ბრძანებაში ცვლილებები: №1459553, 31/10/2025; №1797935, 17/12/2025) საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 1.4 კომპონენტში დაამატა რეკომენდაციები:

„რეკომენდებულია კურსი "ქართული ხალხური თამაშები" არჩევითი კურსებიდან გადავიდეს სავალდებულო კურსების ჩამონათვალში;

რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის არსებული სტრუქტურა და მოხდეს მისი რეორგანიზება (კერძოდ, კომპეტენციების განმავითარებელი სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩამონათვალი), და პედაგოგიური (სწავლების) და მენეჯერული უნარების განმავითარებელი კურსები შევიდეს პროგრამის კომპეტენციების განმავითარებელი სავალდებულო კურსების ჩამონათვალში, კერძოდ ისეთი საგნები, როგორიცაა: „ხალხური მუსიკის სწავლების მეთოდიკა“, „პედაგოგიური პრაქტიკა“, „ტრადიციული ხელოვნების დიდაქტიკა“, „მუსიკალური აღქმის ფსიქოლოგია“.

რეკომენდებულია გაემიჯნოს ერთ საგანში ინტეგრირებული ისეთი დისციპლინები როგორიცაა "მუსიკის ელემენტარული თეორია" და "სოლფეჯიო"."

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ბ) აკრედიტაციის საბჭომ 1.5 კომპონენტში დაამატა რეკომენდაციები:

„რეკომენდებულია გადაიხედოს დასკვნითი გამოცდის პროცედურა შემდეგი კურსების სილაბუსებში: "ქართული ხალხური სიმღერა 5", "ქართული საეკლესიო გალობა 5" და "ქართული ხალხური საკრავი 3", რათა დაკონკრეტდეს შესრულების/პრაქტიკული ნაწილის შინაარსი სავალდებულო რეპერტუარის მითითებით, და ასევე მითითებული იქნება საჯარო/ადგილობრივი პრეზენტაციის/კონცერტის ფორმა;

რეკომენდებულია შემცირდეს თეორიული/წერითი ნაწილი კურსებში "ქართული ხალხური სიმღერა", "ქართული საეკლესიო გალობა" და "ქართული ხალხური საკრავი" და გაფართოვდეს კურსის „ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია და თეორია“ შინაარსი და მოცულობა 2-3 სემესტრში;

რეკომენდებულია სილაბუსების, პროგრამის კურიკულუმისა და სხვა შესაბამისი საჯარო დოკუმენტების ინგლისურ ვერსიებში კურსების სახელწოდებების გადახედვა, გასწორება და უნიფიცირება: “Georgian chant” / hymn / singing, “Georgian folk games” / plays, “Reading in dialect” / modes.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და სემესტრული განაწილება, შეესაბამებოდეს მათ შინაარსსა და სწავლის შედეგებს მაგალითად ისეთ კურსებში, როგორიცაა: ,,გალობის ისტორია და თეორია'' , ,,მუსიკის ელემენტარული თეორია და სოლეჯიო'' და სხვა.

რეკომენდებულია სავალდებულო ლიტერატურის ნუსხა შეიცავდეს უახლეს კვლევებს შესაბამის სფეროში, აკადემიური კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება და პირველის სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 1 წლისა და 6 თვის ვადით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 09 მარტის სხდომის №280649 ოქმის №07 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის დონეზე შრომის ბაზრის კვლევასა და კურიკულუმის დიზაინს შორის მკაფიო და დოკუმენტირებული კავშირის გაძლიერება.
2. რეკომენდებულია პროგრამისთვის შემუშავდეს სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ ინსტრუმენტ(ებ)ს და პერიოდულობას, რათა შეფასდეს სწავლის შედეგები და მოხდეს მათი შედარება დადგენილ სამიზნე ნიშნულები.

3. რეკომენდებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს კურსზე დაშვების წინაპირობები სრული თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით;
4. ვინაიდან საკვალიფიკაციო ნაშრომი მოიცავს მრავალ კომპონენტს, რომელთა უმეტესობა პრაქტიკული/შესრულებაზე დაფუძნებულია, რეკომენდებულია დაზუსტდეს კურსის დასახელება ინგლისურად და მკაფიოდ განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომზე/საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები;
5. რეკომენდებულია კურსი "ქართული ხალხური თამაშები" არჩევითი კურსებიდან გადავიდეს სავალდებულო კურსების ჩამონათვალში;
6. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის არსებული სტრუქტურა და მოხდეს მისი რეორგანიზება (კერძოდ, კომპეტენციების განმავითარებელი სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩამონათვალი), და პედაგოგიური (სწავლების) და მენეჯერული უნარების განმავითარებელი კურსები შევიდეს პროგრამის კომპეტენციების განმავითარებელი სავალდებულო კურსების ჩამონათვალში, კერძოდ ისეთი საგნები, როგორიცაა: „ხალხური მუსიკის სწავლების მეთოდიკა“, „პედაგოგიური პრაქტიკა“, „ტრადიციული ხელოვნების დიდაქტიკა“, „მუსიკალური აღქმის ფსიქოლოგია“.
7. რეკომენდებულია გაემიჯნოს ერთ საგანში ინტეგრირებული ისეთი დისციპლინები როგორიცაა "მუსიკის ელემენტარული თეორია" და "სოლფეჯიო".
8. რეკომენდებულია გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, რათა სრულად და ზუსტად აისახოს კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და ცალკეულ კურსებს შორის.
9. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი „განიხილავს ანსამბლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს" შესაბამისობაში მოვიდეს კურსის „ანსამბლი“ სწავლის შედეგებთან და შეფასების მეთოდებთან;
10. რეკომენდებულია გადაიხედოს და განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატი ისე, რომ მოიცვას მკაფიოდ განსაზღვრული მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები და საკონტაქტო საათების ზუსტი განაწილება.
11. რეკომენდებულია გადაიხედოს დასკვნითი გამოცდის პროცედურა შემდეგი კურსების სილაბუსებში: "ქართული ხალხური სიმღერა 5", "ქართული საეკლესიო გალობა 5" და "ქართული ხალხური საკრავი 3", რათა დაკონკრეტდეს შესრულების/პრაქტიკული ნაწილის შინაარსი სავალდებულო რეპერტუარის მითითებით, და ასევე მითითებული იქნება საჯარო/ადგილობრივი პრეზენტაციის/კონცერტის ფორმა;
12. რეკომენდებულია შემცირდეს თეორიული/წერითი ნაწილი კურსებში "ქართული ხალხური სიმღერა", "ქართული საეკლესიო გალობა" და "ქართული ხალხური საკრავი" და გაფართოვდეს კურსის „ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია და თეორია“ შინაარსი და მოცულობა 2-3 სემესტრში;
13. რეკომენდებულია სილაბუსების, პროგრამის კურიკულუმისა და სხვა შესაბამისი საჯარო დოკუმენტების ინგლისურ ვერსიებში კურსების სახელწოდებების გადახედვა, გასწორება და უნიფიცირება: “Georgian chant” / hymn / singing, “Georgian folk games” / plays, “Reading in dialect” / modes.
14. რეკომენდებულია, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და სემესტრული განაწილება, შეესაბამებოდეს მათ შინაარსსა და სწავლის შედეგებს მაგალითად ისეთ კურსებში, როგორიცაა: ,,გალობის ისტორია და თეორია'' , ,,მუსიკის ელემენტარული თეორია და სოლფეჯიო'' და სხვა.
15. რეკომენდებულია სავალდებულო ლიტერატურის ნუსხა შეიცავდეს უახლეს კვლევებს შესაბამის სფეროში, აკადემიური კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.
16. რეკომენდებულია შემდგომში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს შემოქმედებითი ტურის შინაარსობრივი და პროცედურული მოთხოვნები.
17. რეკომენდებულია წერითი უნარებისა და კომპეტენციების განვითარება აკადემიური წერის სპეციალური კურსის მეშვეობით, ან მსგავსი შინაარსის კურსის ფარგლებში ინტეგრირებული ფორმატით.

18. რეკომენდებულია გაიზარდოს შესაბამის სფეროში დასაქმებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შესაბამისად, შემცირდეს სავალდებულო კურსებისათვის მოწვეული პერსონალის გამოყენება.
19. რეკომენდებულია შემუშავდეს უფრო სისტემური მიდგომა პროფესიული განვითარების ტრენინგების და მათი შედეგების მონიტორინგისთვის.
20. რეკომენდებულია დაწესებულებამ წარმოადგინოს არა მხოლოდ გრაფიკული დიაგრამები, არამედ გამოკითხვის დროს მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის დეტალური ინტერპრეტაციაც.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 9 მარტს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ტრადიციული მუსიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (ტრადიციული მუსიკა)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, 0171, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2026 წლის 9 მარტი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 9 სექტემბერი